**მომხს:** ნ. მეტრეველი

<u>პროექტი</u>

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №

„——“ ივლისი 2022 წ.

ქ. თელავი

**თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 31 მაისის №11 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M3 კატეგორია) რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მარშრუტებზე მგზავრობის ტარიფისა და შეღავათების დადგენის შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე–20 მუხლის მე–4 პუნქტის შესაბამისად, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

**მუხლი 1.** შეტანილ იქნეს ცვლილება თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 31 მაისის №11 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M3 კატეგორია) რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მარშრუტებზე მგზავრობის ტარიფისა და შეღავათების დადგენის შესახებ“ (www.matsne.gov.ge; 01/06/2022; 010250050.35.163.016567).

1. დადგენილების მე-2 მუხლის მე-11 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„11. თელავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული ავტორიზებული უმაღლესი და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტებს.“.

2. დადგენილების მე-6 მუხლის „ე“ პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ე) ამ დადგენილების მე-2 მუხლის 1-ლი-მე-10 პუნქტებით განსაზღვრული პირების თელავის მუნიციპალიტეტში რეგისტრაციის ფაქტის დადგენასთან დაკავშირებით - სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს.“.

**მუხლი 2.** დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე თენგიზ მთვარელიშვილი

## გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი   ბ ა რ ა თ ი

**თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 31 მაისის №11 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M3 კატეგორია) რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მარშრუტებზე მგზავრობის ტარიფისა და შეღავათების დადგენის შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე**

თელავის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ინიცირებული პროექტი ეხება თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 31 მაისის №11 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M3 კატეგორია) რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მარშრუტებზე მგზავრობის ტარიფისა და შეღავათების დადგენის შესახებ“ ცვლილების შეტანის საკითხს.

ნორმატიული აქტის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტი აწესებს შეზღუდვას თელავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული ავტორიზებული უმაღლესი და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტების მიმართ. კერძოდ, იმისათვის, რომ სტუდენტმა ისარგებლოს დადგენილებით განსაზღვრული 50%-იანი შეღავათით, რეგისტრირებული უნდა იყოს თელავის მუნიციპალიტეტში.

ნორმატიულ აქტში ცვლილების შეტანის მიზანს წარმოადგენს თელავის მუნიციპალიტეტში რეგისტრაციის ფაქტის სავალდებულოობის გაუქმება, რის შედეგადაც შეღავათით სარგებლობას შეძლებს სხვადასხვა მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ნებისმიერი სტუდენტი, რომელიც განათლებას იღებს თელავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებულ ავტორიზებულ უმაღლეს და პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში.

**პროექტის ავტორი:** მერიის იურიდიული სამსახური.

**პროექტის წარმდგენი:** მერის პირველი მოადგილე - ნიკოლოზ მეტრეველი.